ხელშეკრულება

2017/195

ქ. თბილისი

10 11 2017 წ.

ჩვენ მხარეები, ფიზიკური პირი თომა ჩაგელიშვილი, (შემდგომში „მიმწოდებელი“) ერთის მხრივ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის პაუნა შენგელაიას სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვადგენთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1. „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა, კერძოდ (CPV 79341000).

საქართველოსა და ევროკავშირის შესახებ სარეკლამო ვიდეორგოლების აფხაზური და ოსური ვერსიების დამზადება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარს.

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

2.1.1 მომსახურეობის გაწევიდან და შესაბამისი საბუთების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში სრულიად აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მომსახურეობის ღირებულება.

2.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

2.2.1 გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 დღის განმავლობაში.

3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან შესრულების ვადის გადაცილებისთვის მიმწოდებელს/შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულებას, პირგასამტეხლო შეადგენს შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ს.

3.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს გამყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებიდან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლო შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს მყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება მასზე ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 აგვისტომდე.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულება.

5.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

5.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მერორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრულ ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

5.4 ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე ვალდებულია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე, ასევე ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, 3 (სამი) დღით ადრე გააფრთხილოს ამის შესახებ მეორე მხარე.

6. ფორსმაჟორი

6.1 არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებით, სამთავრობო გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან მოლაპარაკების გზით;

7.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს;

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახემწიფო მინისტრის აპარატი ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. #7 ს/კ 204469280 სახაზინო სამსახურის კოდი TRESGE22	ფ/პ თომა ჩაგელიშვილი ქ. თელავი, ალაზნის გამზ. #14 პ/ნ 20001008471 ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბ/კ TBCBGE22 ა/ნ GE18TB 0600 0004 4417 9530

პ. შენგელაია

თ. ჩაგელიშვილი